საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება №70

2013 წლის 19 სექტემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,რ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული ,,საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.''
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი **ხათუნა გოგალაძე**

დანართი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 1. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის უფროსი

ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის უფროსი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება;

გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

დ) საქართველოს კონსტიტუციის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს ,,წითელი ნუსხისა'' და ,,წითელი წიგნის'' შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ცხოველთა სამყაროს შესახებ'' საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ'' კონვენციის (1992), ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ'' კონვენციის (1973), ,,საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ'' რამსარის კონვენციის (1971), ,,ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ'' კონვენციის (1979), ,,ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ'' ბერნის კონვენციის (1979), ,,ევროპის ლანდშაფტების კონვენციის'' (2000), საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N11 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის დებულების ცოდნა;

ე) ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხებზე მუშაობის გამოცდილება;

ვ) ინგლისური ენის ცოდნა (კარგად);

ზ) საოფისე კომპიუტერული პროგრამის (MS office Word - კარგად) ცოდნა.

მუხლი 2. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

1. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) უმაღლესი განათლება გარემოსდაცვითი ან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მიმართულებით;

ბ) გარემოსდაცვითი კუთხით სახელმწიფო, კერძო ან არასამთავრობო სექტორებში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;

გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

დ) საქართველოს კონსტიტუციის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს ,,წითელი ნუსხისა'' და ,,წითელი წიგნის'' შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ცხოველთა სამყაროს შესახებ'' საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ'' კონვენციის (1973), ,,ევროპის ლანდშაფტების კონვენციის'' (2000), საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N11 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის დებულების ცოდნა;

ე) ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხებზე მუშაობის გამოცდილება;

ვ) ინგლისური ენის ცოდნა (კარგად);

ზ) საოფისე კომპიუტერული პროგრამის (MS office Word - კარგად) ცოდნა.

2. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) უმაღლესი განათლება გარემოსდაცვითი ან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მიმართულებით;

ბ) გარემოსდაცვითი კუთხით სახელმწიფო, კერძო ან არასამთავრობო სექტორებში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;

გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

დ) საქართველოს კონსტიტუციის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს ,,წითელი ნუსხისა'' და ,,წითელი წიგნის'' შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ცხოველთა სამყაროს შესახებ'' საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ,,ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ'' კონვენციის (1979), ,,აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვის შესახებ'' შეთანხმების (1995), ,,შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვის და მიმდებარე ატლანტის ოკეანის ვეშაპისებრთა დაცვის შესახებ'' შეთანხმების (1996), ,,ევროპის ღამურების პოპულაციების დაცვის შესახებ'' შეთანხმების (1994), საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N11 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის დებულების ცოდნა;

ე) ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხებზე მუშაობის გამოცდილება;

ვ) ინგლისური ენის ცოდნა (კარგად);

ზ) საოფისე კომპიუტერული პროგრამის (MS office Word - კარგად) ცოდნა.

3. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) უმაღლესი განათლება გარემოსდაცვითი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო ან იურიდიული მიმართულებით;

ბ) გარემოსდაცვითი კუთხით სახელმწიფო, კერძო ან არასამთავრობო სექტორებში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;

გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

დ) საქართველოს კონსტიტუციის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს ,,წითელი ნუსხისა'' და ,,წითელი წიგნის'' შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ცხოველთა სამყაროს შესახებ'' საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ,,საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ'' კონვენციის (1971), საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N11 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის დებულების ცოდნა;

ე) ინგლისური ენის ცოდნა (კარგად);

ვ) საოფისე კომპიუტერული პროგრამის (MS office Word - კარგად) ცოდნა.

მუხლი 3. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

1. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) უმაღლესი განათლება გარემოსდაცვითი ან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მიმართულებით;

ბ) გარემოსდაცვითი კუთხით სახელმწიფო, კერძო ან არასამთავრობო სექტორებში მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება;

გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

დ) საქართველოს კონსტიტუციის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს ,,წითელი ნუსხისა'' და ,,წითელი წიგნის'' შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ცხოველთა სამყაროს შესახებ'' საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N11 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის დებულების ცოდნა;

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამის (MS office Word - კარგად) ცოდნა.

2. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) უმაღლესი განათლება გარემოსდაცვითი ან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მიმართულებით;

ბ) გარემოსდაცვითი კუთხით სახელმწიფო, კერძო ან არასამთავრობო სექტორებში მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება;

გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

დ) საქართველოს კონსტიტუციის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს ,,წითელი ნუსხისა'' და ,,წითელი წიგნის'' შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ცხოველთა სამყაროს შესახებ'' საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ბიოუსაფრთხოების შესახებ კარტახენას ოქმის (2000), საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N11 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის დებულების ცოდნა;

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამის (MS office Word - კარგად) ცოდნა.